


მოსწავლის  ბიბლიოთეკა

რადიარღ კიპლინები

# მაუგლი



მთარგმნელი თამარ დიასამიძე



გაქარ სულაკაურიის  
განმომცემლობა

# შინაარსი

1. მაუგლის ძმები .....	5
2. სიონის ხროვის სანადირო სიმღერა .....	33
3. კაას ნადირობა .....	35
4. ბანდარ-ლოგის მგზავრული .....	70
5. როგორ გაჩნდა შიში.....	72
6. ჯუნგლის კანონები.....	95
7. „ვეფხვი, ვეფხვი!“ .....	98
8. მაუგლის სიმღერა.....	122
9. ჯუნგლის შესევა.....	125
10. მაუგლის მუქარა სოფლელებისადმი.....	161
11. მეფის ანკუსი.....	163
12. პატარა მონადირის სიმღერა.....	187
13. წითელი ძაღლები.....	189
14. ჩილის სიმღერა.....	220
15. გაზაფხულის ღელვანი .....	222

## მაუგლის ძმები

*აჰა, ფრთებით ღამე მოაქვს ჩვენთვის ძერას,  
ღამურები აფრთხილდნენ ნელი-ნელა,  
საქონელმა მიაშურა ბაკს და კერას,  
ჩვენი შიშით ჩაკეტილა სახლში ყველა.*

*ჟამი დადგა კლანჭების და კბილებისა,  
ვინავარდებთ, ვისაც შეგვენევს ძალი, ღონე,  
ჯუნგლის კანონს თავმომწონედ ვინც დაიცავს,  
სანადიროდ გაეშურეთ, გამიგონეთ.*

**ჯუნგლის ღამის სიმღერა**

**ს** ხელი ზაფხულის საღამოს შვიდი საათი იყო, როცა მამა მგელი დღის ძილისგან გამოფხიზლდა, დაამთქნარა და ძილით გათანგულმა ბრჭყალებამდე გაშეშებული თათები სათითაოდ დაჭიმა. დედა მგელი იწვა, რუხი, ვეება დინგი ლეკვებს შუა ჩაერგო; ლეკვები ნკმუტუნით დაფათურობდნენ მიწაზე. მთვარე იჭვრიტებოდა გამოქვაბულის ხვრელში.

– ოღრრ! დროა სანადიროდ გავემართო, – წამოიღრინა მამა მგელმა და ის იყო, ქედიდან დაშვებას აპირებდა, რომ პატარა კუდბუთქუნა ლანდი გასასვლელს ჩამოეფარა და ანკმუტუნდა:

– წარმატებას გისურვებ, მგელთმთავარო! ბედნიერება

და მაგარი თეთრი კბილები ნუ მოაკლოს ღმერთმა შენს კეთილშობილ შვილებს! დაე, ნუ დავინწყებოდეთ მათ მშვიერი ამა ქვეყნისანი!

ეს გახლდათ ტურა-ტაბაკი – ჯამილოკია. ინდოეთის ტყეების ბინადარ მგლებს სძაგთ იგი. ტაბაკი ყველგან დასუნსულებს, ბილწობს, ჭორიკანობს, ქექავს სოფლის სანაგვეს, ჩვრებსა და ტყავის ნაკუნებს ჭამს, მაგრამ მგლებს ეშინიათ კიდევ ტაბაკის. მან ხომ სხვა ჯუნგლებებზე მეტად იცის გაცოფება! ამ დროს მას არავისი არ ეშინია, ტყე-ტყე დარბის და ყველას კბენს, ვინც კი გზაში შეეჩეხება. ვეფხვიც კი გარბის და იმალება გაცოფებული ტაბაკის დანახვაზე. ცოფზე უფრო საშინელი რა შეიძლება თავს დაატყდეს მხეცს? ჩვენ, ადამიანები, ამ ავადმყოფობას წყლის შიშს ვეძახით, მხეცები კი დევანის ცოფს უწოდებენ და თავქუდმოგლეჯილნი გაურბიან.

– აბა, შემოდი და ეძებ რამდენიც გინდა, – ნაიბუზღუნა პირქუშად მამა მგელმა, – აქ შესაჭმელი არაფერია.

– მგლისთვის არ არის, – მიუგო ტაბაკიმ, – მაგრამ ჩემისთანა მდაბიოსათვის გამხმარი ძვალიც კი მთელი ნადიმია. განა რა ვართ ჩვენ, გიდურ-ლოგები (ტურების მოდგმა), რომ რჩევა დავინწყოთ?

ტურა ტაბაკიმ გამოქვაბული შემოირბინა, ირმის ძვალს მიაგნო (ძვალს ცოტაოდენი ხორცი კიდევ შერჩენოდა), მიუცუცქდა და მხიარულად დაუნყო ღრღნა.

– მადლობას მოგახსენებთ გემრიელი სადილისათვის, – თქვა მან ტურების ლოკვით, – რა ლამაზები არიან ეს თქვენი კეთილშობილი ბავშვები! რა ფართო თვალები აქვთ! მერე რა პანები არიან! ჰო, სულ დამავინყდა, რომ მეფეთა შვილები მამაცები იბადებიან.

ტაბაკიმ კარგად იცოდა, რომ ბავშვების პირში ქებაზე

უარესი არაფერია, მაგრამ სიამოვნებას ჰგვრიდა დედა მგლისა და მამა მგლის გაჯავრება.

თავისი პირფერობით ნასიამოვნები ტაბაკი რამდენიმე ხანს გატრუნული იჯდა და მერე გესლიანად ჩაილაპარაკა:

– დიდი შერ-ხანი სანადირო ადგილებს იცვლის. მომავალ მთვარეს აქაურ გორაკებში ვინადირებო, ასე მითხრა.

ვეფხვი შერ-ხანი მდინარე უაინგუნგიდან ოცი მილის\* მანძილზე ცხოვრობდა.

– უფლება არა აქვს!.. – გაბრაზებით დაიწყო მამა მგელმა, – ჯუნგლის კანონის მიხედვით, მას არ შეუძლია ბინის შეცვლა სათანადო გაფრთხილების გარეშე. ათი მილის მანძილზე ირგვლივ სულ დააფრთხოვს ნადირს, მე კი ამ დღეებში ორის მაგივრად უნდა ვინადირო!

– დედამისმა ტყუილად კი არ შეარქვა ლანგრი (კოჭლი), – მშვიდად შენიშნა დედა მგელმა, – დაბადებიდანვე ცალი ფეხით კოჭლობს, ამიტომაც, მხოლოდ საქონელს ხოცავს. უაინგუნგის მცხოვრებლები კბილებს ილესავენ მასზე, ახლა კი ჩვენი მეზობლების გამოსაჯავრებლად წამოსულა. მაგის წყალობით მთელ ტყეს აიკლებენ. თვითონ შორს იქნება, ჩვენ და ჩვენმა შვილებმა კი თავს უნდა ვუშველოთ, როდესაც ხალხი ბალახს ცეცხლს წაუკიდებს. ამისთვის დიდი მადლობა ხომ არ მიუძღვნათ შერ-ხანს?

– ხომ არ გადავცე თქვენი მადლობა? – იკითხა ტაბაკიმ.

– გაეთრიე აქედან! – დაუდრინა მამა მგელმა, – გაეთრიე! შენს მფარველთან ერთად ინადირე. კმარა, რაც ბოროტება ჩაიდინე.

– მიუდვიარ, – მშვიდად მიუგო ტაბაკიმ, – ქვემოთ, ტევრში, შერ-ხანის ხმას გაიგონებთ. შემეძლო, დავალების გადმოცემით თავი არ შემენუხებინა.

---

\* სიგრძის საზომი ერთეული. ერთი ინგლისური მილი უდრის 1.609 მეტრს.

მამა მგელმა ყური მიუგდო: ღელიდან ვეფხვის გამყინავი, გაანჩხლებული ღრენა მოესმა, ეტყობოდა, ხელთ ვერაფერი მოეგდო და არც ენაღვლებოდა, თუ ამას მთელი ჯუნგლი შეიტყობდა.

– ბრიყვი! – თქვა მამა მგელმა, – სად გაგონილა ღამის ნადირობის ასეთი ხმაურით დაწყება! ჩვენი ირმები მას უაინგუნგის ნასუქი მოზვრები ხომ არა ჰგონია!

– ჩუმაღ! – შეანყვეტინა დედა მგელმა, – იქ არც ხარია და არც ირემი, უთუოდ ადამიანზე ნადირობს.

ღმუილი გაბმულმა ნკმუტუნმა შეცვალა; ნკმუტუნი თითქოს ყოველი მხრიდან მოისმოდა. ეს ის ხმა იყო, ღია ცის ქვეშ ღამისმთევველ შეშისმჭრელებსა და ბოშებს ძრწოლას რომ ჰგვრის და ზოგჯერ პირდაპირ ვეფხვის ხახაში აგდებს ხოლმე.

– ადამიანი! – წარმოთქვა მამა მგელმა და თეთრი კბილები დაკრიჭა, – ფუჰ! განა ცოტაა ხოჭო და ბაყაყი ჩვენს გუბებში, რომ ადამიანის ხორცი მოინდომა, ისიც ჩვენს მიწა-წყალზე?

ჯუნგლის კანონი, რომელიც ტყუილ-უბრალოდ არაფერს ადგენს, უკრძალავს მხეცებს ადამიანის ჭამას, გამონაკლისია, როცა შვილებს ნადირობას ასწავლიან. მაგრამ მაშინაც თავიანთი ხროვის ან მოდგმის უბანში არ უნდა ინადირონ.

ამ აკრძალვის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ ადამიანებზე ნადირობას ადრე თუ გვიან სპილოებზე ამხედრებული, თოფასხმული თეთრკანიანები და რამდენიმე ასეული შავკანიანი მოჰყვება ხოლმე დაფდაფებით, მაშხალებითა და ჩირაღდნებით ხელში. მაშინ ცუდი დღე ადგას ჯუნგლის ყველა მკვიდრს. ერთმანეთთან საუბარში მხეცები ამბობენ, ადამიანი ყველა სულიერზე სუსტი და უმწეო არსებაა,

ამიტომაც მისი შეხება ვერაა მამაცური საქმეო. იმასაც ამბობენ, და სწორიცაა, კაციჭამია ქეციანდება და კბილებსაც კარგავსო.

კრუტუნი უფრო და უფრო გაძლიერდა და, ბოლოს, საკბილოზე თავდასასხმელად შემართული ვეფხვის ქუხილის მსგავსი ბრდღვინვა გაისმა. ამას მოჰყვა შერ-ხანის ღმუილი, რომელიც ვეფხვის ღრიალს არ ჰგავდა.

– შერ-ხანმა მიზანს ააცდინა, – შენიშნა დედა მგელმა, – რას ნიშნავს ეს?

მამა მგელმა შამბნარში გაბმული შერ-ხანის გაშმაგებულ ბრდღვინვასა და ქშენას მიაყურადა.

– სულელს მეტი ჭკუა არ ჰქონდა, რომ შეშისმჭრელის კოცონზე შედგა და ფეხები დაინვა?! – ნაიბუზღუნა მამა მგელმა, – ტაბაკიც თან ახლავს.

– ვილაც ამოდის გორაკზე, – ყურები დაცქვიტა დედა მგელმა, – მოემზადე!

სიბნელეში ბურქები ოდნავ შეირხა. მამა მგელი დაიძაბა, ნახტომისათვის მოემზადა. იშვიათი სანახაობა იყო: შუა ნახტომზე ჰაერში შეჩერებული მგელი! მამა მგელი მანამდე მოსხლტა, სანამ მსხვერპლს დაინახავდა, შემდეგ კი შეეცადა, შეჩერებულიყო. ოთხი თუ ხუთი ფუტის სიმაღლეზე ამხტარი თითქმის იქვე დაეშვა.

– ადამიანი! – კბილების ღრჭენით შესძახა მან, – ადამიანის ლეკვი! უყურე!

სწორედ მამა მგლის პირდაპირ, დაბალ ტოტს ჩაბლაუჭებული იდგა მთლად შიშველი, შავგვრემანი, ახლადფეხადგმული ბავშვი – ნაზი, ფუნჩულა, პანია. იგი სახეში შეჰყურებდა მამა მგელს და ილიმებოდა.

– ნუთუ ეს ადამიანის ლეკვია? – გაოცდა დედა მგელი, – არასოდეს მინახავს, მომიყვანე აქ!

საკუთარი ლეკვების ტარებას შეჩვეულ მგელს, თუ დასჭირდა, პირით ისე წაიღებს რამდენიმე კვერცხს, რომ ერთს არ გატეხს. მამა მგელმა ბავშვის ზურგს მაგრად მოავლო ღრანჭი, თუმცა კანი ოდნავადაც არ გაუფხაჭნია, ისე მიუწვინა გვერდით თავის ლეკვებს.

– რა პანანინაა! სულ მთლად შიშველია... თანაც როგორი თამამია! – ალერსით წარმოთქვა დედა მგელმა.

ბავშვმა ლეკვები მისწი-მოსწია და დედა მგელს თბილ ბუნვზე მიეკრა.

– აჰა! სხვებთან ერთად შეექცევა საჭმელს! აი, თურმე როგორი ყოფილა ადამიანის ლეკვი! განა ოდესმე რომელიმე მგელს მის შვილებთან ადამიანის ლეკვი დაუწვევინია?

– ამგვარი რამ მე მსმენია, მაგრამ ეს არც ჩემს დროში მომხდარა და არც ჩემს ხროვაში, – მიუგო მამა მგელმა, – თითქმის სულ უბალნო ლეკვია, ერთი ტორის შემოკვრა და სულს გააცხებს. შეხე, პირდაპირ შემომყურებს და სულაც არ ეშინია.

უცებ გამოქვაბულში მთვარის შუქი გაქრა, ჩამობნელდა: შერ-ხანის უზარმაზარმა ოთხკუთხა თავმა და მხრებმა მთლად დაფარა შესასვლელი. ტაბაკი კი მის ზურგს უკან წრიპინებდა:

– მბრძანებლო! ლეკვი აქ შევიდა!

– შერ-ხანმა პატივი დაგვდო თავისი მობრძანებით, – წარმოთქვა მამა მგელმა და თვალელებში რისხვა გამოუკრთა, – რა სურს შერ-ხანს?

– ჩემი ნადავლი. ადამიანის ლეკვი აქეთ წამოვიდა, – თქვა შერ-ხანმა, – მისი მშობლები კი გამექცნენ. მომეცით ჩემი ლეკვი.

როგორც მამა მგელმა ადრევე შეამჩნია, შერ-ხანი შეშის-



მჭრელის კოცონს გადაანყდა და ახლა დამწვარი თათების ტკივილი აშმაგებდა.

მამა მგელმა იცოდა, რომ გამოქვაბულის ხვრელი ვეფხვისათვის მეტად ვიწრო იყო და ვერ შემოეტეოდა.

– მგლები თავისუფალი მოდგმაა, – თქვა მამა მგელმა, – ისინი ბრძანებებს ვიგინდარა ზოლიანი ყასბისაგან კი არ იღებენ, არამედ ხროვის წინამძღოლისაგან. ლეკვი ჩვენია და, თუ მოვისურვებთ, მოვკლავთ კიდეც მას.

– მოისურვებთ თუ არ მოისურვებთ?! რომელ სურვილზეა ლაპარაკი! ჩემ მიერ მოკლულ ხარს ვფიცავ, დიდხანს როდი მოვიცდი, თქვენს ძალღურ ბუნაგში ცხვირშეყოფილი როდი დაველოდები იმას, რაც უფლებით მე მეკუთვნის! გესმით, ეს მე გელაპარაკებით, შერ-ხანი!

ვეფხვის ღრიალმა გამოქვაბული შეაზანზარა. დედა მგელმა სწრაფად ჩამოიბერტყა ლეკვები და ისკუპა. სიბნელეში ორი მწვანე, ნაკვერჩხლებივით მოგიზგიზე თვალი შერ-ხანის ანთებულ თვალებს მიაკვესა.

– ეს კი მე, რაკშა (ქაჯი), გეუბნები, რომ ადამიანის ლეკვი ჩემია, ლანგრი, ჩემია და მხოლოდ ჩემი! ის არ მოკვდება, ცოცხალი დარჩება, ინავარდებს და ინადირებს მთელ ხროვასთან ერთად. გაფრთხილდი, შიშველ ლეკვებზე მონადირევ, ბაყაყებისა და თევზებისჭამიავ, ის შენზეც ინადირებს! ახლა კი მოშორდი აქაურობას, თორემ ჩემ მოკლულ სამბჭურს ვფიცავ (მე დამშეული საქონლის მჭამელი არ ვარ!), მეორე ფეხითაც დაკოჭლებული დაუბრუნდები დედაშენს, ჯუნგლის შერუჯულო მხეცო!

მამა მგელი გაოცებული შეჰყურებდა დედა მგელს. მას უკვე დავინწყებოდა ის დღეები, როცა სასტიკ ბრძოლაში ხუთ მგელს გამოჰგლიჯა დედა მგელი, როდესაც იგი ხროვასთან ერთად დარბოდა, და მხოლოდ თავაზიანობის გამო

არ უნოდებდნენ ქაჯს. შერ-ხანს შეეძლო პირისპირ შებმო-  
და მამა მგელს, მაგრამ დედა მგელს ვერ გაუმკლავდებოდა.  
მას საუკეთესო ადგილი ჰქონდა შერჩეული და, ეტყობო-  
და, თავს არ დაიზოგავდა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე  
იბრძოლებდა; შერ-ხანმა გამოქვაბულიდან ბრდღვინვით  
დაიხია უკან და დაიღრინა:

– თავის კარ-მიდამოში ძალიც ბატონია! – ვნახოთ,  
რას იტყვის ხროვა ადამიანის მფარველობისათვის. ბავშვი  
ჩემია და ადრე თუ გვიან ჩემი კერძი გახდება, სქელკუდა  
ქურდებო!

დედა მგელმა ქშენით მოიკალათა ლეკვებს შუა. მამა  
მგელმა დინჯად წარმოთქვა:

– შერ-ხანი მართალია – ლეკვი ხროვას უნდა ვაჩვენოთ.  
შეიხიზნებ მას?

– შევიხიზნებ? – გაიკვირვა დედა მგელმა, – საბრალო,  
შიშველი მოვიდა, მშიერ-მწყურვალი, მარტოდმარტო, ლა-  
მით, და მაინც არ ეშინოდა. შეხედე, ერთი ჩემი პანია უკვე  
განზე გადააგდო. ის კოჭლი ყასაბი მოკლავდა მას, თვი-  
თონ უაინგუნგისკენ გაიქცეოდა, თავს უშველიდა, აქაური  
მცხოვრებნი კი შურის საძიებლად ჩვენს ბუნაგს აიკლებდ-  
ნენ. შევიხიზნებ თუ არა მას? რა თქმა უნდა, შევიხიზნებ,  
მივცემ თავშესაფარს! ინექი მშვიდად პანანინა ბაყაყო,  
მაუგლი! – ამიერიდან მაუგლის – ბაყაყს დაგიძახებ. დად-  
გება დრო და შერ-ხანზე სწორედ ისე ინადირებ, როგორც  
ის ნადირობდა შენზე.

– კი მაგრამ, რას იტყვის ჩვენი ხროვა? – იკითხა მამა  
მგელმა.

ჯუნგლის კანონი გარკვევით ამბობს, რომ ყოველ  
მგელს, ცოლის შერთვის შემდეგ, შეუძლია ჩამოშორდეს  
თავის ხროვას, მაგრამ როგორც კი ლეკვები იმდენად წა-

მოიზრდებიან, რომ ფეხზე დადგომა შეეძლებათ, ვალდებულება, წარუდგინოს ისინი მოდგმის საბჭოს, რომელიც, ჩვეულებრივ, თვეში ერთხელ, მთვარის აგების ჟამს იკრიბება, რათა სხვა მგლებიც გაეცნონ ლეკვებს. ამ შემთხვევის შემდეგ ლეკვებს თავისუფლად შეუძლიათ ირბინონ სადაც უნდათ და, სანამ ისინი პირველ ირემს არ მოკლავენ, ხროვის არც ერთ მოზრდილ მგელს არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ლეკვის მოკვლა. მკვლელი სიკვდილით ისჯება იმავე ადგილზე, სადაც წაასწრებენ. თუ კარგად ჩავუფიქრდებით, ცხადი იქნება, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

მამა მგელმა დაიცადა, სანამ ლეკვები ფეხს მოიმაგრებდნენ და სირბილს შეძლებდნენ. მოდგმის შეკრების ღამეს კი ყველანი, მაუგლიც და დედა მგელიც, საბჭოს კლდეზე წაასხა – სიპი ქვებითა და ქვა-ლორლით მოფენილი ქედის მწვერვალზე, სადაც ასიოდე მგელი შეძლებდა თავის შეფარებას.

აკელა – უზარმაზარი, ჭალარა, მარტოხელა მგელი, რომელიც ხროვას თავისი ჭკუითა და შეუდარებელი ღონით მართავდა, კლდეზე განოლილიყო. ძირს სხვადასხვა სიმაღლისა და ფერის მგლები ისხდნენ, დანყებულნი ჭალარა ვეტერანებიდან, რომლებსაც მარტო შეეძლოთ გამკლავებოდნენ ირემს, დამთავრებული ახალგაზრდა, შავი, სამი წლის მგლებით, რომლებიც ყველაზე მეტად ვაჟკაცობდნენ და ყოყორობდნენ. მარტოხელა მგელი, უკვე ერთი წელია, წინამძღოლობდა მოდგმას. ახალგაზრდობაში ორჯერ გაბმულიყო ხაფანგში. ერთხელ საშინლად ეცემათ და ცოცხალ-მკვდარი მიეგდოთ, ამიტომაც კარგად იცნობდა ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს. კლდიდან საუბარი თითქმის არ ისმოდა. ლეკვები წრის შუაგულში კოტრიალებდნენ და დაფუსფუსებდნენ. ირგვლივ მათი მშობლები ისხდნენ. ხანდახან რო-

მელიმე მგელი წყნარად მიუახლოვდებოდა ლეკვს, გულ-დასმით შეათვალიერებდა და უხმოდ უბრუნდებოდა თავის ადგილს. ზოგჯერ რომელიმე დედა თავის ლეკვს მთვარის შუქზე გამოაგებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი შვილი შეუმჩნეველი არ დარჩა. აკელა რიხიანად მოუწოდებდა მგლებს კლდიდან:

– თქვენ იცით კანონი, თქვენთვის ცნობილია კანონი. იყავით ფხიზლად, მგლებო!...

დედა მგლები მღელვარებით ეხმაურებოდნენ ძახილს:

– ფხიზლად იყავით, ფხიზლად იყავით, მგლებო!

დაბოლოს (დედა მგელს ამ დროს კისერზე ბალანი აე-ბურძგნა) მამა მგელმა მაუგლი წრის შუაგულში გამოაგდო, ბავშვი სიცილით ჩაჯდა და მთვარის შუქზე აბრჭყვიალე-ბული კენჭებით თამაში დაიწყო.

აკელას ერთხელაც არ აუწევია თავი, ერთ ხმაზე განაგრძობდა ძახილს.

– ფხიზლად იყავით! ფხიზლად იყავით!

კლდის გადაღმიდან ყრუ ღმუილი მოისმა. ეს შერ-ხანის ხმა იყო:

– ლეკვი ჩემია! მომეცით იგი! რად უნდა თავისუფალ მოდგმას ადამიანის ლეკვი?

აკელამ ყურიც არ შეიბერტყა, მხოლოდ ეს თქვა:

– ფხიზლად იყავით, მგლებო! რა ესაქმება თავისუფალ მოდგმას ვისიმე ბრძანებებთან, იგი თავისუფალი მოდგმის ბრძანებებს ემორჩილება მხოლოდ.

გაისმა ყრუ ღრენა და ახალგაზრდა, ოთხი წლის მგელმა აკელას შერ-ხანის კითხვა მიახალა:

– რად უნდა თავისუფალ მოდგმას ადამიანის ლეკვი?

ჯუნგლის კანონის მიხედვით, თუ რაიმე დავა წამოიჭრება ხროვაში ლეკვის შეკედლების თაობაზე, ლეკვს, გარ-